




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება N 130

2016 წლის 19 დეკემბერი

ხაშური




ხაშურის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფისა და სარიტუალო მომსახურების გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში არსებული სასაფლაოების ტერიტორიის შემოღობვის, მისასვლელი და შიდა გზების მოხრეშვის, დასუფთავებისა და ნაგვის გატანის უზრუნველყოფის მიზნით დამტკიცდეს „ხაშურის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფისა და სარიტუალო მომსახურების გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამა“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი-მე-2 პუნქტების შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფისა და სარიტუალო მომსახურების გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამა დანართი № 1-ის შესაბამისად (თან ერთვის 6 ფურცლად).
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაში შედის 2017 წლის პირველი იანვრიდან.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, მ. კოსტავას ქ. 15 )

ხაშურის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე

## ხაშურის მუნიციპალიტეტი

„ხაშურის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოვლა-პატრონობის  
უზრუნველყოფა და სარიტუალო მომსახურების გაუმჯობესების ხელშეწყობა“

## პროგრამა

# 1. პროგრამის სახელწოდება

„ხაშურის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფა და სარიტუალო მომსახურების გაუმჯობესების ხელშეწყობა“

## 2. პროგრამის (ქვეპროგრამის) დაწყებისა და დამთავრების თარიღი

„1“ იანვარი 2017 წ.

„31“ დეკემბერი 2017 წ.

## 3. პროგრამის (ქვეპროგრამის) მთლიანი ბიუჯეტი

54000 (სამოცდაათასი ათასი) ლარი  
თანხა სიტყვიერად

## 4. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16-ე მუხლის მეორე პუნქტის „ს)“ ქვეპუნქტის შესაბამისად მხოლოდ თვითმმართველი ერთეულია უფლებამოსილი, მიიღოს გადაწყვეტილება სასაფლაოების მოვლა-პატრონობის საკითხზე;

„ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა - პატრონობის ზოგადი წესების დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 26 ოქტომბრის №41 დადგენილება განსაზღვრავს თვითმმართველი ერთეულის - ხაშურის მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობისა და მართვის, მოვლა-პატრონობის, სარიტუალო მომსახურების, სასაფლაოების დახურვის, გაუქმების ლიკვიდაციისა და ახალი სასაფლაოების გახსნის წესებს.

აღნიშნული წესით სასაფლაოსათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის (სტატუსის მინიჭების) შემდეგ საფლაოების (სამარხების) ქოტურად განთავსებისა და მოუხერხებელი გარემოს შექმნისაგან თავიდან აცილების მიზნით ხორციელდება სასაფლაოს დაგეგმარება, რომელიც უნდა განხორციელდეს შესაბამისი წესით დამტკიცებული პროექტის მიხედვით, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად გათვალისწინებული უნდა იქნეს:

- ა) დასაფლავებისათვის ნაკვეთების (სექტორების) გამოყოფა და მათი გამოყენების რეგითობა;
- ბ) გასასვლელებისა და ფეხით სავალი გზების მიმართულება, ზომები და კეთილმოწყობა;
- გ) მწვანე ნარგავების განთავსება და ხასიათი;
- დ) სასაფლაოს ფუნქციონირებისათვის საჭირო შენობები და ნაგებობები (საოფისე შენობა, წყალგაყვანილობა, ყვავილების მაღაზია, საზოგადოებრივი ტუალეტი, დაკრძალვის წინ ცხედრის დასასვენებლად (სამოქალაქო პანაშვიდი და ა. შ.) განვუთვნილი სპეციალური შენობა და ა. შ);
- ე) სასაფლაოს გამწვანება, სასაფლაოს პერიმეტრის გასწვრივ დამცავი მწვანე ნარგავების გაშენება და დეკორატიული ნარგავების დარგვა. ძირითად ხეივნებსა და დაკრძალვის ადგილებში საკმარისი განიავების უზრუნველყოფით;
- ვ) სასაფლაოს შესასვლელებში საავტომობილო სადგომის მოწყობა;
- ზ) საფლაოებისა და საფლავში და სამარხების აღრიცხვა-ნუმერაცია და სხვა.

ამ საქმიანობას და სასაფლაოების მართვას წესის მე-6-ე მუხლის მიხედვით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ

დაფუძნებული კერძო სამართლის სამეწარმეო ან/და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „სავანე“, რომლის მართვაში საკრებულოს გადაწყვეტილების საფუძველზე შეიძლება იყოს როგორც ახალი სასაფლაოს ტერიტორია, ასევე უკვე არსებული სასაფლაო (სასაფლაოები).

სასაფლაოების მმართველი „სავანე“ ახორციელებს სასაფლაოების მართვასთან, მათ მოვლა-პატრონობასთან, გარდაცვლილის ნეშტის დაკრძალვასთან დაკავშირებით საჭირო შესაბამის მომსახურებას და ვალდებულია განახორციელოს შემდეგი მომსახურება:

- ა) სასაფლაოებზე საფლავების (სამარეების) დადგენილი წესით გამოყოფა;
- ბ) სასაფლაოზე გამოყოფილი სამარის გათხრა და ამოვსება;
- გ) გარდაცვლილის სამარეში ჩასვენება;
- დ) სამარხზე სარეგისტრაციო ფირფიტის დაყენება, საფლავებისა და საფლავში სამარეების აღრიცხვა-ნუმერაცია და სხვა;
- ე) სასაფლაოების გასასვლელების, ბილიკების, საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილების და არსებული ქონების მოვლა-პატრონობა;
- ვ) დანტერესებული პირებისათვის სახელშეკრულებზე ურთიერთობების საფუძველზე შესაბამისი მომსახურების გაწევა;
- ზ) საფლავის პასპორტის გაცემა ახალი საფლავის გაცემისას;
- თ) საქართველოს კანონმდებლობით აუკრძალავი სხვა მომსახურების გაწევა.

სამწუხაროდ, ხაშურის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა-პატრონობისა და კეთილმოწყობის სფეროში დღეის მდგომარეობით არასაჩარბიელო მდგომარეობაა და ფაქტიურად ვერ ხერხდება დადგენილი ნორმებისა და წესების დაცვა. განსაკუთრებით თვალშისაცემია გარდაცვლილის ოჯახის წევრებისა და ჭირისუფლების მიერ საფლავისათვის დადგენილი ნორმების დარღვევა და დამატებითი ფართობების დაკავება, ასევე დაგეგმარების გარეშე, ქაოტურად საფლავების მოწყობა, რაც თავის მხრივ იწვევს მიწის საკითხებთან დაკავშირებით უამრავი პრობლემის წარმოქმნას. ასევე დღის წესრიგში დგას საფლავების დაზიანება ამორტიზირებული ხეების დაწოლით, რასაც ემატება შიდასაკვარტალო გზების მოუწყობლობა და ეკალ-ბარდებით მოფენილი, არარეგულარული დასუფთავებითა და მოუვლელობით განპირობებული საერთო მდგომარეობა.

შექმნილი მდგომარეობის გაუმჯობესებისა და თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილების უკეთ განხორციელების ხელშეწყობის მიზნით აუცილებელია შესაბამისი პროგრამის - „ხაშურის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფა და სარიტუალო მომსახურების გაუმჯობესების ხელშეწყობა“ - ამოქმედება.

## 5. პროგრამის მიზნები

№	პროგრამის მიზნები	მიზნის მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1	სარიტუალო მომსახურების გაუმჯობესების ხელშეწყობა	შეთავაზებული სერვისების სახეობების და მოცულობის შესახებ მონაცემების 25%-ნი ზრდის მაჩვენებელი
2	სასაფლაოს ტერიტორიების მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფა	სათანადოდ დამოწმებული განხორციელებული ღონისძიებების შესახებ მონაცემები 1-ჯერ აღემატება მანამდე არსებულ მონაცემებს
3	სასაფლაოს ტერიტორიების კეთილმოწყობის უზრუნველყოფა	სათანადოდ დამოწმებული შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და რაოდენობის შესახებ მონაცემები 2-ჯერ აღემატება მანამდე არსებულ მონაცემებს

## 6. პროგრამის ამოცანები და მათი გადაჭრის შეფასების ინდიკატორები

N	პროგრამის ამოცანები	ამოცანის პრიორიტეტული	შეფასების ინდიკატორები
---	---------------------	-----------------------	------------------------

		ბა	
1	სასაფლაოს ტერიტორიების დაცულობის, მოვლა-პატრონობის, წინასააღმდეგაშაულო რელიგიურ და წლის სხვა დღეებში პერიოდული დასუფთავების და შესაბამისი გადანაყარის (ნაგვის) გატანის უზრუნველყოფა	25 %	სათანადოდ დამოწმებული შესრულებული სამუშაოების მოცულობა და რაოდენობა
2	სასაფლაოების შემოსაღობად, ავარიული ხეების გამოსაღვინად, წყალანირების სისტემების, გზების მოსახრემად და კეთილმოსაწყობად ჩასატარებელი აუცილებელი სამუშაოების მოცულობისა და პრიორიტეტულობის განსაზღვრა, შესაბამისი დეფექტური აქტებისა და ხარჯთაღრიცხვების შედგენის უზრუნველყოფა	20 %	მუნიციპალიტეტში განსახილველად წარდგენილი შედგენილი დეფექტური აქტები და მომზადებული ხარჯთაღრიცხვები
3	სასაფლაოების ტერიტორიაზე შიდაკვარტალური და საფლაოებს შორის მისასვლელი გზების დაპროფილებების, მოხრეშვის, წყალანირების სისტემის მოწყობის, საჭირო კეთილმოწყობისა და ავარიული ხე-მცენარეების მოჭრა-გადაბეღვის სამუშაოების ჩატარება	15 %	სათანადოდ დამოწმებული შესრულებული სამუშაოების მოცულობა და რაოდენობა
4	დასახლებებში სასაფლაოებისათვის გამოყოფილი მთლიანი ტერიტორიების დადგენა, საკადასტრო აზომვითი ნახაზების მომზადება, თვითმმართველობის საკუთრებაში გადმოსაცემად და საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის ხაშურის მუნიციპალიტეტში წარდგენა.	10 %	მომზადებული და მუნიციპალიტეტში შემდგომი რეაგირებისათვის წარდგენილი საკადასტრო - აზომვითი ნახაზები, საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული ნაკვეთები
5	ახალი სასაფლაოების მოსაწყობად ტერიტორიების გამოყოფის შესახებ შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებისა და მუნიციპალიტეტში წარდგენის უზრუნველყოფა	7 %	მომზადებული და მუნიციპალიტეტში შემდგომი რეაგირებისათვის წარდგენილი საკადასტრო - აზომვითი ნახაზები და შესაბამისი დოკუმენტაცია
6	მიწის ფართობების რაციონალურად გამოყენებისათვის არსებული და ახალი სასაფლაოების ტერიტორიების დაგეგმარებისა და შესაბამისი პროექტების მომზადების უზრუნველყოფა სასაფლაოს ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ზონებისა და მათი რიგითობის დადგენის, პანთეონების, საოჯახო (საგვარეულო) საფლაოების, დასაფლავებისათვის ნაკვეთების (სექტორების) გამოყოფის და მათი გამოყენების რიგითობის, გასასვლელებისა და ფეხით სავალი ბილიკების, მწვანე ნარგავების განთავსებისა და ხასიათის, საჭირო შენობა-ნაგებობების, მანქანის სადგომების, საზოგადოებრივი ტუალეტების და სხვა ჩვენებით	5 %	მომზადებული და მუნიციპალიტეტში შემდგომი რეაგირებისათვის წარდგენილი საკადასტრო - აზომვითი ნახაზები, დაგეგმარების პროექტები და შესაბამისი დოკუმენტაცია
7	პროგრამის მიმდინარეობაზე მონიტორინგისა და შეფასების განხორციელების უზრუნველყოფა	18 %	ხაშურის მუნიციპალიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისა და შსაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლების მიერ პერიოდულად მომზადებული დოკუმენტაცია, წინადადებები, დასკვნები, ბიუჯეტში გათვალისწინებული სუბსიდიები
		<b>ჯამი 100 %</b>	

7. პროგრამით მოსარგებლე პირთა (მომხმარებელთა) რაოდენობა და კატეგორია

№	მომხმარებელთა კატეგორია	რაოდენობა	პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება (დახმარება)	შენიშვნა
1	გარდაცვლილის ოჯახის წევრები (ჭირისუფლები)	წელიწადის განმავლობაში მინიმუმ 600 - 1000 ადამიანი	მიცვალულთა ოჯახის წევრებისათვის (ჭირისუფალთათვის) სარიტუალო სერვისების - დაკრძალვის ცერემონიის, დარბაზების, გადასვენების, რელიგიური წესჩვეულების აღსრულების, შესაბამისი სამედიცინო და სანიტარული მომსახურების ორგანიზება	ქ. ხაშურში და დაბა სურამში
		წელიწადის განმავლობაში მინიმუმ 400 - 800 ადამიანი		მუნიციპალიტეტში შემავალ დანარჩენ დასახლებულ პუნქტებში
		წელიწადის განმავლობაში მინიმუმ 60 - 100 ოჯახი	საფლავისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფა და შესაბამისი კასპორტების დამზადება	ქ. ხაშურში და დაბა სურამში
		წელიწადის განმავლობაში მინიმუმ 40 - 80 ოჯახი		მუნიციპალიტეტში შემავალ დანარჩენ დასახლებულ პუნქტებში
2	დაკრძალვის ცერემონიაზე ჩამოსულები და დამსწრე მოქალაქეები (სტუმრები)	წელიწადის განმავლობაში საშუალოდ 6 000 - 20 000 ადამიანი	სასაფლაოების ტერიტორიების კეთილმოწყობა და მოვლა-პატრონობა	ქ. ხაშურში და დაბა სურამში
		წელიწადის განმავლობაში საშუალოდ 4 000 - 16 000 ადამიანი		მუნიციპალიტეტში შემავალ დანარჩენ დასახლებულ პუნქტებში
3	ხაშურის მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოები, სტრუქტურული ერთეულები და გამგებლის წარმომადგენლები შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში, საზოგადოების დაინტერესებული წევრები	წელიწადის განმავლობაში საშუალოდ 40 000 - 60 000 ადამიანი	სასაფლაოების ტერიტორიების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, ახალი სასაფლაოს ტერიტორიების გამოყოფა, ზონირება, დაგეგმარება, პროექტირება და მოწყობა, შიდა კვარტალური გზებისა და ავტოსადგომების მოწყობა, დაცვა-შემოღობვა, კეთილმოწყობა და გამწვანება, ამორტიზირებული, საშიშროება შემცველი ხე-მცენარეების მოჭრა-გადაბეღვა	ქ. ხაშურში და დაბა სურამში, მუნიციპალიტეტში შემავალ დანარჩენ დასახლებულ პუნქტებში
ს უ ლ:	გარდაცვლილის ოჯახის წევრები (ჭირისუფლები), მუნიციპალიტეტის მოსახლეობა და სტუმრად ჩამოსული საზოგადოება	წელიწადის განმავლობაში საშუალოდ 40 000 - 60 000 ადამიანი		ქ. ხაშურში და დაბა სურამში, მუნიციპალიტეტში შემავალ დანარჩენ დასახლებულ პუნქტებში

ა(ა)პ-იმ "სავანე" ხაშურის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფა და სარიტუალო მომსახურების გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამა

	დასახელება	2017 წელი	2017 წელი საკუთარი შემოსავალი
	სუბსიდია		საკუთარი
1	მომუშავეთა რიცხოვნება	6	
2	სულ სულ გადასახდელი	54000	15000
3	შრომის ანაზღაურება	36300	
4	საქონელი და მომსახურება	17700	14600
5	შტატარზე მომუშავეთა ანაზღაურება		
6	მივლინებები	100	0
7	ოფისის ხარჯი	2700	0
8	კვების ხარჯები	0	0
9	სამედიცინო ხარჯები	0	0
10	რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	2500	1875
11	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა-მენჯვის ხარჯები	6400	600
12	ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯი		

13	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	6000	12025	
14	სხვა ხარჯები		400	
15	არაფინანსური აქტივების ზრდა მათ შორის : (გაშორებით)			